

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 13 ნოემბრის სხდომის

### ოქმი N 13

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 13 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

#### დღის წესრიგი:

1. ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ დამტკიცების შესახებ
2. იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

**1. მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად თსუ-ში ხორციელდება ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები 4 მიმართულებით. აღნიშნულ პროგრამებზე ბოლო მიღება მოხდება 2019 წელს. ამის შემდეგ თსუ-ს შესაძლებლობა მიეცემა დამოუკიდებელი მიღება განახორციელოს ამ პროგრამებზე. 2019 წელს სატესტო რეჟიმში განხორციელდება კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომლის ამჟამად წარმოდგენილია დასამტკიცებლად (იხ. დანართი 1). პროგრამა წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

**აზრი გამოთქვეს:** საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სხვადასხვა საკითხებით პროგრამის ირგვლივ, რაზეც უპასუხა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ დამტკიცების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“.

**2. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიებზე

სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს 24.01.2017 დადგენილების თანახმად, ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” მუხლიდან გამოყოფილია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად. სულ წარდგენილია 51 სტატია, თუმცა თანხის გადანაწილება მოხდება 66 ავტორსა თუ თანაავტორს შორის. იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციების ავტორებზე გასაცემი თანხების სია იხ. დანართი 2-ში. აღნიშნული სია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** ფაკულტეტის საბჭო ადგენს: ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გაცემის მიზნით, ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა განისაზღვროს 2500 ლარით და დაფინანსდეს 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე თანდართული სიის შესაბამისად (იხ. დანართი 1), სულ 127500 ლარის ოდენობით. აქედან 105 ათასი ლარი გაცემულ იქნას აღნიშნული ბიუჯეტის მუხლის ქვეპუნქტიდან „ანაზღაურება იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციებისთვის“, ხოლო დარჩენილი 22500 ლარი დაფინანსდეს ბიუჯეტის იმავე მუხლის „აკადემიური პერსონალის საათობრივი ანაზღაურება“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომიიდან დარჩენილი სახსრებიდან (სია იხ. დანართი 2).

**3. მიმდინარე საკითხები:** დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. აქ განსახილველად გამოტანილი იყო სამი საკითხი:

- ა) ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ყვავაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შესახებ.
- ბ) ტაბახმელის ტერიტორიაზე თსუ-ს კუთვნილი ნაკვეთიდან გეოგრაფიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკების ჩასატარებლად ტერიტორიის გამოყოფის შესახებ.
- გ) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის - მათემატიკურ განათლებაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ.
- დ) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიაში წევრის არჩევის შესახებ.

ა) **მოისმინეს:** ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ყვავაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნანა შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის სხდომაზე მოხდა დოქტორანტის ხელმძღვანელის, მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ნინო წერეთლის განცხადების განხილვა დოქტორანტ ნინო ყვავაძის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უარის გამოცხადების შესახებ; ასევე ნინო ყვავაძის სადისერტაციო სამეცნიერო თემის შეცვლის მოთხოვნის შესახებ (იხ. დანართი 3.1). სხდომამ დააკმაყოფილა ნინო წერეთლის თხოვნა ნინო ყვავაძის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უარის გამოცხადების შესახებ. რადგან დოქტორანტს ამჟამად შეჩერებული აქვს სტატუსი, მისთვის ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნისა და სამეცნიერო თემის დამტკიცების საკითხი გადადებულ იქნა. პროფესორმა ნ. შათაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აღნიშნული გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ყვავაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადების დაკმაყოფილების საკითხი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** დაკმაყოფილდეს ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ყვავაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის, მიხეილ ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ნინო წერეთლის თხოვნა ნინო ყვავაძის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უარის გამოცხადების შესახებ. ნინო ყვავაძისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნა და სამეცნიერო თემის შეცვლა მოხდეს მოგვიანებით.

**ბ) მოისმინეს:** ტაბახმელის ტერიტორიაზე თსუ-ს კუთვნილი ნაკვეთიდან გეოგრაფიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკების ჩასატარებლად ტერიტორიის გამოყოფის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2011 წელს მოხდა მარტყოფის სასწავლო ბაზის ჩამორთმევა ფორსმაჟორულ სიტუაციაში და სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ კომპლექსური პრაქტიკები ვეღარ ტარდება. ტაბახმელაში თსუ-ს აქვს 13 ჰა ტერიტორია. ადგილი უნიკალურია - აქ 3 ტიპის კლიმატია, რაც შესაბამის ეკოსისტემას ქმნის და მისაღებია პრაქტიკების ჩასატარებლად. თუ გამოვვიყოფენ 4 ჰა-მდე ტერიტორიას, მიზანშეწონილი იქნება მისი შემოღობვა, რათა არ გაითიბოს, ეკოსისტემა არ დაირღვეს და მოხდეს ლანდშაფტის თვითაღდგენა. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა, რომ არ ითხოვენ რაიმე შენობა-ნაგებობებს. პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ მხარი დაუჭირონ და შუამდგომლობა გაუწიონ თსუ ადმინისტრაციასთან აღნიშნულ საკითხზე თანხმობის მისაღებად.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა თ.ლეჟავამ, ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, ე.ნადარაიამ, ა.შენგელიამ, ო.მუკბანიანმა. პროფესორები დაინტერესდნენ დეტალებით საკითხის ირგვლივ, ასევე ინფორმაციით ძველი, ყოფილი მარტყოფის სასწავლო ბაზის შესახებ, რაზეც გამომსვლელმა უპასუხა, რომ ეს ადგილი ამჟამად გაყიდულია, ფერმად არის ქცეული, სრულიად გამოუსადეგარია სასწავლო მიზნებისთვის და მისი დაბრუნებაც არარეალურია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს ტაბახმელის ტერიტორიაზე თსუ-ს კუთვნილი ნაკვეთიდან გეოგრაფიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული კომპლექსური პრაქტიკების ჩასატარებლად ტერიტორიის გამოყოფის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს წინადადებას და შუამდგომლობას უწევს თსუ ადმინისტრაციასთან, რომ ტაბახმელის ტერიტორიაზე თსუ-ს კუთვნილი ნაკვეთიდან გამოიყოს და შემოიღობოს (ეკოსისტემის თვითაღდგენისა და დაცვის მიზნით) 4 ჰა-მდე ტერიტორია გეოგრაფიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული კომპლექსური პრაქტიკების ჩასატარებლად.

**გ) მოისმინეს:** მათემატიკურ განათლებაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. ა.შენგელაიამ. მან საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის „მათემატიკურ განათლებაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ ჩამოყალიბების საკითხი. მან მოკლედ ისაუბრა ინსტიტუტის დებულებასა და სამოქმედო გეგმაზე (იხ. დანართები 3.2). ინსტიტუტში სულ 7 თანამშრომელია. სხვა ინსტიტუტების მსგავსად, ეს ინსტიტუტი იფუნქციონირებს საკუთარი ფინანსებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა მათემატიკურ განათლებაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის და ფაკულტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:**

- 1) შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მათემატიკურ განათლებაში;
- 2) ფაკულტეტის დებულების 35-ე მუხლს დაემატოს შ) პუნქტი შემდეგი რედაქციით:  
„შ) მათემატიკურ განათლებაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

**დ) მოისმინეს:** ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიაში წევრის არჩევის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. ა.შენგელაიამ. მან აღნიშნა, რომ კომისიის წევრის, პროფესორ კ.გელაშვილის სხვა უნივერსიტეტში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა კომისიაში ახალი წევრის არჩევა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა დაესახელებინათ კანდიდატურა. დასახელდა პროფესორ გია სირბილაძის კანდიდატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ კანდიდატურას.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** პროფესორი გია სირბილაძე არჩეულ იქნას ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის წევრად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,  
ასისტენტ პროფესორი  
თინათინ დავითაშვილი

